დაიჯესტი

15 - 21 მარტი, 2021

TRC
ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
Terrorism Research Center

ამერიკის შეერთებული შტატები

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა დაეშის მოზამბიკისა და კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის განშტოებები ტერორისტული ორგანიზაციების სიაში შეიყვანა და მათ სანქციები დაუწესა. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც აშშ-მ სანქციები დაუწესა ტერორისტული ორგანიზაციების ცენტრალური აფრიკის განშტოებებს, რაც ხაზს უსვამს შუა აღმოსავლეთს მიღმა ისლამისტური ჯგუფების გავრცელების მზარდ საფრთხეს.

ამერიკელ ჯარისკაცს, რომელიც დაეშისთვის მატერიალური მხარდაჭერისა და აშშ-ს სამხედრო სსამსახურის წევრების მოკვლის მცდელობის ბრალდებით დააკავეს, მაქსიმუმ 40 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. საგულისხმოა, რომ თავად კოულ ბრიჯისი, რომელიც 20 წლისაა, თავს დამნაშავედ არ ცნობს. პროკურორების განცხადებით, რადიკალიზებული ჯარისკაცი ონლაინ მიმოწერაში გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომელს, რომელიც თავს აისისის მხარდამჭერად ასაღებდა, ნიუ-იორკში თავდასხმის პოტენციურ სამიზნე ობიექტებზე, ასევე აშშ-ს სამხედრო ოპერაციების ჩაშლის შესახებ აძლევდა რჩევებს.

სამი თვის შემდეგ ნეშვილში შობას მომხდარი აფეთქებიდან, გამოძიების ფედერალურმა ბიურომ გამორიცხა ტერორიზმი, როგორც მოტივი და დაასკვნა, რომ 63 წლის თავდამსხმელის ქმედება სტრესით იყო ნაკარნახევი და მან სპეციალურად შეარჩია ლოკაცია სხვების დაზიანების რისკის შესამცირებლად.

გამოძიების ფედერალურმა ბიურომ კონგრესს დაუდასტურა, რომ აშშ-მექსიკის საზღვართან დააკავეს სულ მცირე 4 ადამიანი, რომელთა სახელებიც გამოძიების ფედერალური ბიუროს ტერორისტული სკრინინგის მონაცემთა ბაზაშია გასული წლის 1 ოქტომბრიდან.

16 მარტს, სამშაბათს, ჩრდილოეთ კაროლინის შტატის პოლიციამ ტერორიზმთან დაკავშირებული ბრალდებით 64 წლის მამაკაცი, ტერი ლი ბარამი დაიჭირა. მას ბრალი ედება მასიური განადგურების იარაღის წარმოებაში, გადატანასა და შენახვაში.

ჯორჯიის შტატში, ატლანტაში სამ სპა ცენტრზე განხორციელებულ თავდასხმას 8 ქალის სიცოცხლე ესმხვერპლა. ადგილობრივი პოლიციის განმარტებით, დაღუპულია 8 აზიელი ადამიანი, რაც არ გამორიცხავს დანაშაულის რასისტულ მოტივს. თუმცა, 21 წლის, რობერტ აარონ ლონგის, განმარტებით დანაშაულის ჩადენისას მას მსხვერპლთა რასა გააზრებული არ ჰქონია. მომხდარმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, იმის შესახებ უნდა იყოს თუ არა ეს ყოველივე მიჩნეული ტერორისტულ აქტად ან სიძულვილის დანაშაულად.

დიდი ბრიტანეთი

ინგლისისა და უელსის სისხლის სამართლის ცენტრალურმა სასამართლომ დამნაშავედ ცნო შაიაბ აბუ ტერორისტული თავდასხმის მცდელობის, ონლაინ იარაღის შეძენისა და პრო-დაეშის მუსიკალური ვიდეოების შექმნის გამო.

ბრიტანეთი აპირებს შექმნას ახალი უსაფრთხოების შტაბები, რათა უკეთ უპასუხოს უსაფრთხოების მთავარ გამოწვევას ტერორიზმისგან. ბრიტანეთის მთავრობის მიმოხილვაში, რომელიც ქვეყნის პოსტ-ბრექსიტული პოლიტიკის პრიორიტეტებს ეხება ხაზგასმულია, რომ ბრიტანეთის მოქალაქეები შეეჯახნენ მნიშვნელოვან საფრთხეს, განპირობებულს როგორც ისლამისტური ტერორიზმით, ისე უკიდურესი მემარჯვენე რადიკალიზმითა და ანარქიზმით.

23 წლის ფლორიან ფლეგელმა, რომელიც 12 ოქტომბერს სტანსტედის აეროპორტში დააკავეს და ბრალად ედებოდა ტერორისტული პუბლიკაციების, მათ შორის დაეშის ვიდეოების გავრცელება, დანაშაული აღიარა.

ავსტრალია

კონტრ-ტერორისტულმა პოლიციამ სამი პირი დააკავა მელბურნის ჩრდილოეთით თებერვალში ხელოვნურად გამოწვეული ხანძრისა და 10 მარტს მელბურნში ერთ პირზე განხორციელებული თავდასხმის გამო. გამომძიებლების რწმენით, ზემოხსენებული ქმედებები რელიგიური ექსტრემიზმითაა მოტივირებული.

საფრანგეთი

ორი თინეიჯერი დააკავეს საფრანგეთის არმიაზე თავდასხმების დაგეგმვის ბრალდებით. ერთ-ერთმა ეჭვმიტანილმა, 17 წლის ბიჭმა განაცხადა, რომ მას სურდა "საფრანგეთს გადაეხადა ფასი" იმისათვის, რომ შეუერთდა სამხედრო კოალიციას დაეშის წინააღმდეგ.

ევროკავშირი

16 მარტს ევროკავშირის საბჭომ მიიღო რეგულაცია, რომელიც ინტერნეტში ტერორისტული კონტენტის გავრცელებას შეეხება. რეგულაციის მიზანია ხელი შეუშალოს ტერორისტების მიერ ინტერნეტის გამოყენებას რადიკალიზების, რეკრუტირებისა და ძალადობისკენ წაქეზების მოტივებით.

თურქეთი

სირიაში ოპერაციისას თურქეთის უსაფრთხოების ძალებმა დააკავეს ქურთისტანის მუშათა პარტიის წევრი იბრაჰიმ ბაბათი, რომელმაც გამოააშკარავა ორგანიზაციის გეგმები თავს დასხმოდნენ სირიის საზღვართან თურქეთის არმიას.

თურქეთის უსაფრთხოების ძალებმა რვა უცხო ქვეყნის მოქალაქე დააკავეს სტამბოლში დაეშის წინააღმდეგ მიმართული ოპერაციისას. ოპერაციის ფარგლებში ამოიღეს ორგანიზაციის რამდენიმე დოკუმენტი და ციფრული მასალები.

აზერბაიჯანი

აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრის განცხადებით, ქვეყნის არმიამ დაიწყო ოთხ დღიანი მასიური კონტრ-ტერორისტული სამხედრო წრთვნები, რომელიც მიმდინარეობს მთიან ტერიტორიებზე და 18 მარტის ჩათვლით გაგრძელდება.

ლიბია

ქალაქ უბარის უდაბნოსთან დაეშის ერთ-ერთი ლიდერი, აბუ ომარის სახელით ცნობილი მოჰამედ მილოუდ მუჰამედი დააკავეს. აბუ ომარი ლიბიაში დაეშის იმ ლიდერთა შორის იყო, რომელთაც 2015 წელს ქალაქ სირტეზე მოიპოვეს კონტროლი და ქალაქი მებრძოლთა წვრთნებისა და თავდასხმების ნავსაყუდელად აქციეს.

ავღანეთი

ავღანეთის მთავრობა დათანხმდა ბაიდენის ადმინისტრაციის წინადადებას, დაესწროს სამშვიდობო მოლაპარაკებების კონფერენციას თურქეთში, რათა დაჩქარდეს მოლაპარაკებები 20 წლიანი ომის დასრულებასთან დაკავშირებით.

ნანგარჰარის პროვინციაში, პაჩირიგამისა და ლალპურის რეგიონებში ოპერაციის შედეგად დაეშის ორი ტერორისტი დააკავეს, ექვსი კი დაიღუპა.

ქაბულში მიკროავტობუსისაკენ მიმართული ბომბის აფეთქების შედეგად დაშავდა სულ მცირე 15 მოქალაქე. ასევე შეიარაღებულმა პირმა ცეცხლი გაუხსნა უნივერსიტეტის ავტობუსს, რასაც სულ მცირე ორი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ექვსი კი დაშავდა.

ქალაქ ფაღმანში თალიბანმა ორ პოლიციელს გაუხსნა ცეცხლი, რაც ფატალურად დასრულდა.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ავღანეთის სამხრეთ რეგიონში, ყანდაარის პროვინციაში, თალიბანის მებრძოლების წინააღმდეგ საჰაერო წერტილოვანი დარტყმები განახორციელა. ხსენებულ სპეცოპერაციას წინ უსწრებდა თალიბანის მებრძოლების თავდასხმა ავღანეთის სახელისუფლებო ძალებზე.

ნიგერია

ბორნოს რეგიონში ნიგერიის არმიამ გაანადგურა ბოკო ჰარამისა და ისლამური სახელმწიფოს დასავლეთ აფრიკის პროვინციის ათობით ტერორისტი. გენერალ მოჰამედ იერიმას განცხადებით, ოპერაცია ჩატარდა ჩადის ტბასთან. მათ გაანადგურეს იარაღები, საბრძოლო მასალები და სამალავები, ასევე გაწმინდეს სოფლები დაბან მასსარა და ალი შერიფტი.

დაწყებითი სკოლიდან შეიარაღებულმა პირმა სამი მასწავლებელი გაიტაცა. კადუნას პროვინციის უსაფრთხოების კომისარის განცხადებით, თავდაპირველად მასწავლებლებთან ერთად ბავშვებიც გაიტაცეს, თუმცა ბავშვებმა გაქცევა მოახერხეს.

ბოკო ჰარამის მებრძოლებმა მათ მიერ მოკლული 15 ჯარისკაცის ფოტოები გაავრცელეს. ტერორისტებმა ჯარისკაცები ბორნოს პროვინციაში, ქალაქ მონგუნოში შეტაკებისას მოკლეს. საგულისხმოა, რომ ნიგერიის არმიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით 4 ჯარისკაცი იყო დაღუპული.

ტერორისტულმა ორგანიზაცია ბოკო-ჰარამმა ბორნოს შტატში, ქალაქ დამასკთან, სამხედრო ბაზა დაიკავა. ადგილობრივების განცხადებით, სახელისუფლებო ძალებსა და ბოკო-ჰარამს შორის შეიარაღებული დაპირისპირება მალე დამთავრდა, რის შედეგადაც, სამთავრობო ძალებმა ქალაქი დატოვეს.

სირია

სულ მცირე 21 ჯარისკაცი დაიღუპა დარაას პროვინციაში შეიარაღებული თავდასხმის შედეგად. თავდასხმაზე სირიის ოპოზიციის ყოფილი წევრები არიან პასუხისმგებელნი.

ქალაქ დეირ ეზოორში მომხდარ ნაღმის აფეთქებას, ირანის რევოლუციური დაცვის კორპუსის მეთაური და მისი დაცვის წევრი შეეწირნენ.

სირიის უსაფრთხოების ძალებმა ჩაშალეს დამასკოში დაბომბვის მცდელობა, დააკავეს სამი, ხოლო 3 მებრძოლის ლიკვიდირება მოახდინეს.

ერაყი

ერაყის სახალხო მობილიზაციის ძალებმა (ასევე ცნობილია, როგორც ჰაშდ ალ-შააბი) ჩაშალეს დაეშის თაქფირის ტერორისტების მცდელობა, შეეღწიათ სალადინის პროვინციაში.

დაეშის ორი წევრი დაიღუპა ბაღდადის ჩრდილოეთით, ალ-თარმიაში ჰაშდ ალ-შააბის მიერ ჩატარებული ოპერაციის შედეგად.

პაკისტანი

ქალაქ კარაჩიში მომხდარ აფეთქებას ერთი ჯარისკაცის სიცოცხლე შეეწირა, რვა მოქალაქე კი მძიმედ დაშავდა.

პაკისტანის უსაფრთხოების ძალებმა კანჯუში თალიბანის ერთი წევრი მოკლეს, მეორე კი დააკავეს.

ინდოეთი

ქალაქ შოპიანში შეტაკების შედეგად დაიღუპა ჯაიშ-ე-მოჰამედის ორი ტერორისტი, მათ შორის წინამძღოლი საჯჯად აფღანი.

ინდოეთის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტომ ქვეყნის მასშტაბით 11 ლოკაციაზე განხორციელებული ოპერაციების შედეგად დააკავა დაეშთან დაკავშირებული სულ მცირე სამი ადამიანი, მათ შორის მოჰამედ აბუ იაჰია, რომელსაც ბრალად ედება ახალგაზრდების რადიკალიზების მცდელობები ქაშმირში, დელიში, კარნატაკასა და კერალაში.

საუდის არაბეთი

იემენში კოალიციამ საუდის წინამძღოლობით განაცხადა, რომ ირანის მიერ მხარდაჭერილმა ჰუსიტმა ამბოხებულებმა საადას პროვინციიდან ორი ბალისტიკური რაკეტა გაუშვეს საუდის არაბეთის ქალაქ ხამის მუშაიტის მიმართულებით, თუმცა რაკეტები დაუსახლებელ ტერიტორიაზე მოხვდა.

საუდის არაბეთში დაეშის ქსელთან დაკავშირებული 5 პირი სიკვდილით დასაჯეს.

ბოლივია

ბოლივიის ყოფილი პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, ჯანინ ანიესი, ტერორიზმის და აჯანყების ბრალდებით დააკავეს. ანიესი ზემოაღნიშნულ თანამდებობას 2019 წელს იკავებდა.

მოზამბიკი

მაპუტოში აშშ-ს საელჩოს განცხადებით, აშშ-ს სპეციალური ოპერაციების ჯარებმა მოზამბიკში დაიწყეს ორთვიანი წრთვნები, რათა ხელი შეუწყონ ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციას. საგულისხმოა, რომ დაეშის თავდასხმების

გამო მოზამბიკს დღესდღეობით 670 000-მდე იძულებით გადაადგილებული მოქალაქე ყავს.

კაბო დელგადოს პროვინციის ერთ-ერთი სოფლის მკვიდრმა განაცხადა, რომ მის 12 წლის შვილს დაეშის წევრებმა თავი მოაჭრეს. საგულისხმოა, რომ ბოლო წლებში ისლამისტურმა ექსტრემიზმმა ფეხი მოიკიდა მოზამბიკში, განსაკუთრებით კი კაბო დელგადოს პროვინციაში, სადაც ისლამისტი მეამბოხეები სამთავრობო ძალებს ებრძვიან.

ნიგერი

სულ მცირე 58 მოქალაქე შეეწირა თავდასხმას ნიგერის სამხრეთ-დასავლეთით, მალის საზღვართან, ქალაქ ბანიბანგოუში. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, სამიზნე კონკრეტული ეთნიკური ჯგუფი იყო.

მალი

ისლამისტი მებრძოლების მიერ გაოს ჩრდილოეთ რეგიონზე თავდასხმის შედეგად დაიღუპა 11 და დაკარგულად ითვლება 11 ჯარისკაცი . ამ ისლამისტ მებრძოლთა ნაწილი ალ კაიდასთან, ნაწილი კი დაეშთანაა დაკავშირებული და 2012 წლის შემდეგ აქტიურად იყენებენ მალის, როგორც ბაზას, რათა გააფართოვონ ოპერაციები მეზობელ ნიგერსა და ბურკინა ფასოში.

15 მარტს, ორშაბათს, ქალაქ ტესიტში არსებულ სამხედრო საგუშაგო პოსტზე განხორციელებულ შეიარაღებულ თავდასხმას 53 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. დაღუპულთა შორის მალის სახელიმწიფო სამხედრო სამსახურის 33 თანამშრომელია. ამ დროისათვის, მომხდარ თავდასხმაზე პასუხისმგებლობა არცერთ დაჯგუფებას არ აუღია.

იემენი

იემენის სამხედრო სამსახურის პრესცენტრის განცხადებით, ოთხშაბათს, ქალაქ თაიზთან ჩატარებული სამხედრო სპეცოპერაციის შედეგად ლიკვიდირებულია 18 ჰუსიტი მებრძოლი.

Agence France Press-ის განცხადებით, ხუთშაბათს, იემენის სამხრეთ ნაწილში, ჯიჰადისტმა მებრძოლებმა 4 მოქალაქე და 8 პრო-სახელისუფლებო სამხედრო მოკლეს. გავრცელებული ინფორმაციით ჯიჰადისტები ტერორისტული ორგანიზაცია ალ კაიდას წევრები არიან.

კონგო

ერთ-ერთ სოფელში მომხდარ თავდასხმას ასობით ადგილობრივი მაცხოვრებლის სიცოცხლე შეეწირა. თვითმხილველები და უფლებადამცველი ორგანიზაციები მომხდარში მოკავშირე დემოკრატიულ ძალებს ადანაშაულებენ, რომელიც კონგოში 1990-იანი წლების შემდგომაა აქტიური და უამრავი სასტიკი თავდასხმის შემოქმედია.

შრი ლანკა

შრი ლანკას მთავრობა დაეშის მიერ ეკლესიებსა და სასტუმროებზე თავდასხმების სერიიდან ორი წლის შემდეგ ბურკას აკრძალვის საკითხს განიხილავს. კანონისა და წესრიგის მინისტრის, სარათ ვეერასეკარას განცხადებით, ქალების მიერ სახის მთლიანად დაფარვა ეროვნული უსაფრთხოების საკითხია, ბურკა კი მზარდი რელიგიური ექსტრემიზმის ნიშანია და ახლო მომავალში მას აუცილებლად აკრძალავენ.